გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 7

2023 წლის 13 იანვარი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.08.290.01.500) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 18 ნოემბრის N5/64893 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, ქალაქ გორში, შარტავს ქ. N124-ში მდებარე გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.08.290.01.500) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შემდგომში მისი იძულებით გაადგილებულ პირთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. მითითებულ ფართებში 1992 წლიდან ცხოვრობენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციალიტეტის საკრებულოს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, შარტავს ქ. N124-ში მდებარე უძრავი ქონება (66.45.08.290.01.500) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს, შემდგომში იძულებით გაადგილებულ პირთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულის სააგენტოს 2022 წლის 18 ნოემბრის N5/64893 წერილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, შარტავს ქუჩა N124-ში, პირველ სართულზე არსებული 350.26 კვ.მ. ფართი, საკადასტრო კოდი N 66.45.08.290.01.500.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**